

„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიწაოს ეროვნული  
ფედერაცია



„17“ „-----“ 2016 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი 2016

თბილისი

2016

25 ნოემბერი – 27 ნოემბერი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

## II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.
- საქართველოს ჩემპიონატზე ევროპის ძიუდოს კავშირიდან მოწვეული იქნება შეჯიბრის კომისარი.

## III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, რომლებმაც მოიპოვეს ასპარეზობის უფლება 2016 წლის 12-13 ნოემბერს გამართულ საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრზე.

## IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს.
- შეჯიბრი ჩატარდება 2016 წლის 26 ნოემბერი - 27 ნოემბერი, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე თბილისი - 25 ნოემბერი, წასვლის დღე - 28 ნოემბერი.
- შეჯიბრის დასაწყისი 10.00 საათზე.

## V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრი ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 5 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრი ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრი ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
- პირველი დღე 26 ნოემბერი - 60 კგ; 66 კგ; 73 კგ;
- მეორე დღე 27 ნოემბერი - 81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

### აწონვა: თბილისში

25 ნოემბერს თბილისში, ძიუდოს აკადემია

60 კგ; 66 კგ; 73 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

26 ნოემბერი თბილისში, ძიუდოს აკადემია

81 კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 - 18.00 საათამდე;

## VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

## VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებული ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

მობ. 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

ელექტრონული მისამართი: [geojudofed@gmail.com](mailto:geojudofed@gmail.com)

საკონტაქტო პირი – ირაკლი ცირეკიძე 577 99 44 01

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანუღირებაზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი